ინვესტიციების მონიტორინგი და აუდიტი მარეგულირებელი ორგანოების მიერ

ნენსი გ. კაცარელასი,
სერტიფიცირებული
ბუღალტერი

ოქტომბერი, 2014 წ.

აქტივების მონაცემთა ელექტრონული ბაზა

ქონების სააღრიცხვო სისტემა (CPR)

ყველა რეგულირებული კომუნალური კომპანია უნდა აწარმოებდეს დოკუმენტაციას, სადაც შეტანილი იქნება ობიექტის საწყისი ღირებულება და მისი ამჟამინდელი ადგილმდებარეობა

CPR არის პროცედურა, რომლის მეშვეობითაც კომუნალური კომპანიის ობიექტის ხარჯები ცალ-ცალკე იწარმოება ქონების ერთეულების მიხედვით

ქონების ერთეული არის ადვილად იდენტიფიცირებადი ელემენტი, რომლის ხარჯთაღრიცხვა სხვებისაგან დამოუკიდებლად შეიძლება წარმოებდეს.

CPR-ები

- არსებობს ქონების ერთეულთა ორი ტიპი
  - იდენტიფიცირებადი ერთეულებია მიწა და შენობები, რომელთა მდებარეობა, საწყისი ფასი და ღირებულება აღრიცხულია. აღრიცხულია ასევე ნებისმიერი ახალი მდებარეობაც.
  - ქონების ჯგუფური ერთეულებია მრიცხველები და ელექტროსადენების ბოძები, რომლებიც აღრიცხულია მთლიანი ღირებულებითა და საშუალო ფასით.
    - ფორმდება ინვესტიციის/შესყიდვის პირველი წლის მიხედვით საკონტროლო CPR-ში.
    - შემდეგ, ქვესექციებში აღირიცხება მათი ადგილმდებარეობისა და ზომის დეტალები, რომლებიც დასრულებული სამუშაო ორდერის დოკუმენტაციიდანაა ამოღებული.
    - სრული რაოდენობა, ფასი და ერთეულის საშუალო ფასი უნდა გაფორმდეს საკონტროლო CPR-ში წლის ბოლოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წლის განმავლობაში ქვესექციის დოკუმენტაცია იწარმოება, ხოლო წლის ბოლოს ეს ყველაფერი ფორმდება საკონტროლო დოკუმენტაციაში.

CPR-ები

- გააფორმეთ, თუ ქონების ერთეული უფრო დიდი ჩამოსაწერი ქონების ნაწილი არ არის
- მოხმარების დრო ერთ წელიწადზე მეტია (თუ ნაკლებია, მაშინ ხარჯია)
- ყველაზე მცირე ზომის საგანი სათადარიგო ნაწილებისათვის
- თანხა ანუ ღირებულება უნდა დადგინდეს ხელმძღვანელობის მიერ, მაგრამ, ჩვეულებრივ, ძვირია განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვა საგნებისაგან შედგება.
- FERC **არ** იძლევა ჩამოსაწერი ობიექტების გადაკეთების ნებართვას „მინიმუმი მოგების“ ანუ აქციონერთა მოგების მანიპულირების მიზნით.

CPR-ები


- ქონების მცირე ელემენტები, რომლებისგანაც შედგება ობიექტი
  - მაგალითი: ბოძების ჯვრისებრი განივები და იზოლაცია
  - კაპიტალიზაცია სამუშაო ორდერის უტილიზაციის დროს
  - წვრილმანი საგნების გამოცვლა მიიჩნევა ხარჯად
  - გარდა იმ შემთხვევებისა, როცა წვრილმანი საგნების დიდი რაოდენობის გამო ეს ძვირადღირებული პროცესია (იხილეთ ქვემოთ)
  - შესაძლებელია მოდერნიზაციის საშუალებების კაპიტალიზაცია, რაც დამოკიდებულია კომპანიის ისტორიაზე.
  - ზოგიერთი წვრილმანი ერთეულის კაპიტალიზაცია გარკვეული პირობებით იზღუდება და მართვას საჭიროებს. (150 მილის სიგრძის გადამცემი ხაზი, რომელსაც სჭირდება ვანტის ახალი მავთულები).

CPR-ების ქონების წვრილმანი ერთეულები

- წვრილმანი საგნები
  - მანიპულირების დიდი შანსი არსებობს და საჭიროებს კონტროლს.
  - წვრილმანი სათადარიგო საგნის კაპიტალიზაცია უნივერსალური არ არის და აშშ-ის არცერთი მარეგულირებელი ორგანო არ მოითხოვს, რომელიც მიჩიგანის კომისიისათვისაა ცნობილი.
  - ეყრდნობა გონივრულ და პრაქტიკულ მიდგომას, რომელიც გამომდინარეობს რეალისტური ფასიდან და კომპანიის ისტორიიდან.

CPR-ების წვრილმანი საგნები/მაგალითი

ჩამოსაწერი საგანი წვრილმანი საგნისაგან განსხვავებით



CPR-ების წვრილმანი საგნები/მაგალითი

- CPR-ში გაფორმებული ქონების ერთეული = ერთი დასრულებული შენობა ადგილმდებარეობითა და ხარჯების აკუმულირებით.
- ჩამოსაწერი ერთეული = შენობის ლიფტი
- წვრილმანი საგნები = ერთობლიობაში შეადგენენ ლიფტს
- წვრილმანი საგნები = ფანჯრების გამოცვლა
- კიდევ რას დაასახელებდით?

CPR-ების მასობრივი ქონება

- ათასობით მსგავსი ჩამოსაწერი ერთეული, როგორიცაა მრიცხველები, მომსახურებები, ბოძები, კაბელები. (გახსოვდეთ, რომ საჭიროა მათი CPR-ებში მოძებნა)
- მასობრივი ქონება ფორმდება ობიექტის მომსახურების ანგარიშებზე ინვესტიციის პირველი წლების მიხედვით (როცა მოხდა შესყიდვა).
- უნდა მოხდეს მასობრივი ქონების ამ ჩამოსაწერი ერთეულების ტრეკინგი ინვესტიციის/შესყიდვის პირველი წლის მიხედვით (მნიშვნელოვანია ცვეთისათვის)
- შესყიდვის/ინვესტიციის პირველი წლის დადგენის ალტერნატიული გზებია ცოცხალი რიგი (FIFA), შეწონილი საშუალო, ვარგისიანობის ხანგრძლივობის მრუდი (აიოვას შტატის ცვეთის კვლევებში მიღებული მრუდის მსგავსი).

CPR-ის ინფორმაცია ქონების შესახებ

- ქონების სპეციფიკური აღწერა - კონსტრუქცია, მოდელი, ზომა, მომწოდებელი, სერიული ნომერი, შესყიდვის ორდერის ნომერი, მომწოდებლისაგან მიღებული ინვოისის ნომერი. (გაურკვევლობის დროს მომწოდებლის ისტორია შეიძლება დაგვეხმაროს)
- ექსპლუატაციაში შესულთა რაოდენობა შესყიდვის წლის მიხედვით. უმრავლესობა ექსპლუატაციაში შედის, თუმცა შესაძლებელია მათი საწყობში დატოვებაც. მზადაა სამუშაოდ, მაგ., მრიცხველები და ბოძები.
- საშუალო ფასი
- უნდა გვქონდეს ობიექტის ანგარიშის ნომერი, რომელზეც ხარჯები ირიცხება და ასევე, სამუშაო ორდერი.

CPR-ების მასობრივი ქონება - მარტივი მაგალითი

ანგარიში #XXX. ბოძები

(1) ქონების ერთ.	(2)	(3) სულ ერთ.	(4) ერთ. ფასი	(5) სულ ღირებ.
20’ ბოძი	თითო	2 986	$10,20	$30 457,20
30’ ბოძი				
35’ ბოძი				

ამ ჩანაწერს ამტკიცებს ქვეჩანაწერი, რომელშიც მოცემულია მდებარეობა. ეს ჩანაწერები შეიძლება შედგებოდეს ძალიან ბევრი გვერდისაგან, მაგრამ თანამედროვე კომპიუტერული პროგრამები ამის საშუალებას გვაძლევს.

როცა ფიზიკური ინვენტარი გააქვთ და რიცხვი იცვლება, 2 986 ახლა არის 2 750, მაგრამ თანხა დოლარებში ისევ საბუღალტრო წიგნებშია - საჭიროა შესწორება!

CPR-ები

- ჩამოსაწერი მაკრო თუ მიკროდანადგარები?
  - ხელმძღვანელობა ყოველთვის გონივრულად უნდა მიუდგეს მარეგულირებელ პროცესებს.
  - კომპიუტერის კლავიატურა ჩამოსაწერი საგანი უნდა იყოს? თუ მცირე ზომის ჩამოსაწერი საგნები მიიჩნევა ქონების ერთეულებად, მაშინ მათი მოვლა-რემონტის ხარჯებიც უნდა შემცირდეს. ეს ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს.
  - მაგრამ, ამან შეიძლება გაზარდოს ქონების გადასახადი და ტრანსაქციების გაფორმების ხარჯები. CPR-ში გაფორმებას უფრო მეტი მუშაობა სჭირდება, ვიდრე მათ ხარჯებში გაშვებას.
  - ხელმძღვანელობამ ძალიან ბევრი უნდა გაითვალისწინოს (თუ საჭიროა, მარეგულირებელი ორგანოების მეგობრული დახმარება არ იქნებოდა ურიგო).

CPR-ები

- ობიექტის ანგარიშები შესაბამისობაში უნდა იყოს საბუღალტრო აღრიცხვის უნივერსალურ სისტემასთან.
- ეს დოკუმენტაცია მნიშვნელოვანიცაა და სასარგებლოც, ვინაიდან მასში მოცემულია სრული ინფორმაცია ობიექტის ანგარიშებისა და ქონების იმ ტიპების მიხედვით, რომლებიც შეადგენს მოქმედ ობიექტსა და მის ღირებულებას.
- ის ასევე სასარგებლოა ქონების ერთეულის ჩამოწერის (ან გაყიდვის) დროს.
- ეს დოკუმენტაცია საჭიროა ცვეთის დადასტურებისა და ცვეთის საერთო კვლევების დროს.

CPR-ების ამოცანები

- ქონების ინვენტარის რანდომულად შემოწმების შესაძლებლობის უზრუნველყოფა მათი ფიზიკური არსებობის დასამტკიცებლად.
- ქონებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გაფორმება, რათა შესაძლებელი გახდეს ჩამოწერის სწორი აღრიცხვა
- ქონების ერთეულთა ისეთი ჯგუფები, როგორიცაა გადაცემისა და განაწილების მაგისტრალის მასობრივი ქონება (გაზის მთავარი მაგისტრალები) (ბოძები და კაბელები), უნდა დაიყოს ქვედანაყოფებად ზომების მიხედვით. ამას გარდა, უნდა გაფორმდეს მათი სრული რაოდენობა და ერთეულის საშუალო ღირებულება ან საშუალო ღირებულება ინვესტიციის პირველი წლის მიხედვით.
- დააფიქსირეთ ქონების ერთეულების ღირებულების დეტალები, მოცემულ წელიწადში ამორტიზაცია, სარეზერვო თანხები და ნარჩენი საბალანსო ღირებულება.

საწყისი ღირებულება

- გაითვალისწინეთ საწყისი ღირებულება, რომელიც ობიექტის საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი კონცეფციაა. ეს არის ხარჯი, რომელიც პიროვნებამ გაიღო მოცემული ქონების კომუნალური კომპანიისათვის გადაცემის დროს. ის უნდა იყოს სამართლიანი და რეალისტური.
- თუ ობიექტი კომპანიამ სხვა კომპანიისაგან შეიძინა, მისი საწყისი ფასი გადმოდის იმ დროიდან, როცა ის მომსახურებაში შევიდა (პირველად ამოქმედდა და არა მაშინ, როცა მყიდველმა კომპანიამ აამოქმედა). სხვაობაში შედის შესყიდვის ხარჯები, რომელთა ამორტიზაციაც შეიძლება, ოღონდ ჯერ უნდა დამტკიცდეს.

საწყისი ფასი შრეობრივად

- CPR-ში შეტანილი ყველა ღირებულება გასაგები უნდა იყოს
- დოტაცია მშენებლობაზე, თუ ის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს (სამუშაო ორდერი მშენებლობაზე, რომელიც გრძელდება 6 თვეზე მეტ ხანს და ღირს $50 000-ზე მეტი).
- არაპირდაპირი მუშახელი, ადმინისტრაცია, ამწე მანქანით ტვირთის გადმოტანის ზოგადი წესები
- პირდაპირი მუშახელი და სამუშაო ტექნიკა
- იდენტიფიცირებადი მასალა, არაიდენტიფიცირებადი მასალა (შეიძლება წებო იყოს? მშენებლობის დროს გამოყენებული დამხმარე საშუალებები. ფითხიც ხომ შეიძლება იყოს?).

სამუშაო ორდერის სისტემა

- სამუშაო დავალების/ორდერის სისტემა მნიშვნელოვანია. ეს ის დოკუმენტია, სადაც თავს იყრის მშენებლობის ან კომპანიის ქონების შეძენის დროს გაწეული ხარჯები.
- ქონების ჩამოწერის დროს იგივე სამუშაო დავალება გამოიყენება (ჩამოწერის სამუშაო დავალების სისტემა).
- სამუშაო დავალების სისტემაში უნდა ჩანდეს ობიექტისათვის დამატებული ან ჩამოწერილი საგნების სრული ღირებულება და თითოეული მათგანის წყარო (ინვოისები, კომპანიის პირდაპირი ხარჯები, როგორიცაა, მუშახელი და ზედნადები ხარჯების განაწილება)

სამუშაო ორდერები

- შეიძლება მოხდეს ხარჯების აკუმულაცია სამუშაო ორდერის მიხედვით, ხოლო თითოეული დაუსრულებელი სამუშაო ორდერი უნდა გაფორმდეს 107-ე ანგარიშში - მიმდინარე მშენებლობა - თუ მშენებლობა თვის ბოლოს ან წლის ბოლოს არ დასრულებულა.
- ამწისა და ინჟინრების, კურატორებისა და ოფისის თანამშრომელთა ხელფასების ხარჯები და სხვა კომპონენტები, რომლებიც პირდაპირ ვერ დაირიცხება, სამუშაო ორდერზე პროპორციულად უნდა გადანაწილდეს.

სამუშაო ორდერები

- დოტაცია მშენებლობაზე, ანუ მშენებლობის საგადასახადო შეღავათი (AFUDC) არის ხარჯი, რომელიც უნდა დაემატოს მშენებლობას, თუ ის გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. MPSC U-5281
- AFUDC არის ხარჯი, თუ მშენებლობის პერიოდი 6 თვეზე მეტ ხანს გრძელდება და მისი ღირებულება $50 000-ზე მეტია. AFUDC არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როგორიცაა გარემოს დაბინძურების კონტროლის საშუალებების მშენებლობა.
- AFUDC, ვალის პროცენტი ან მშენებლობის დროს გამოყენებული აქციონერთა წილი.

სამუშაო ორდერები

- სამუშაოს დასრულების შემდეგ სამუშაო ორდერები უნდა დაიხუროს და გადაეცეს მოქმედ ობიექტს, რაც შეიძლება დროულად.
- ჩამოწერის სამუშაო ორდერები უნდა დაიხუროს, რაც შეიძლება დროულად, ხოლო დაგროვილი თანხები უნდა მოიხსნას მოქმედი ობიექტიდან (ცვეთის შესაბამის რეზერვთან ერთად).
- ჩამოწერის სამუშაო ორდერები ხაზს უსვამს ქონების სწორი აღრიცხვის მნიშვნელობას, რადგან, როცა ჩამოწერა დასრულდება, ობიექტის საწყისი ფასი უნდა ამოვიღოთ საბუღალტრო წიგნებიდან.

ჩამოწერა

- უნდა იყოს ბრუნვიდან ამოსაღები ერთეული/აგრეგატი
- ფორმდება აქტივის მომსახურების ხანგრძლივობა და გამოიყენება ცვეთის კვლევებში (აიოვას შტატის მრუდები შეეხება აქტივების მომსახურების ხანგრძლივობის ტენდენციებს).
- გაფორმებულია სამუშაო ორდერში
- შეიცავს შემდეგ ნაწილებს:
  - მონტაჟის ძველი ფასი ან საწყისი ფასი, როცა ის ექსპლუატაციაში შევიდა
  - დემონტაჟის/ამოღების ცნობილი ხარჯი
  - ცვეთის კოეფიციენტი უნდა შეიცავდეს ჯართის ღირებულების ელემენტსაც. დემონტაჟი, ჩვეულებრივ, ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ჩამოწერა

- ეს მარტო საწყისი ფასისა და დამატებითი ხარჯების მოცილება არ არის.
- დემონტაჟი მოითხოვს მუშახელს, მოწყობილობას, გარე სამუშაო ძალას, ზედნადებ ხარჯებს - ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ ობიექტის ჩამოწერის დროს.
- ჩამოწერილი სადგურის ჯართის ფასი? ჯართიდან შემოსული ნებისმიერი შემოსავალი ამცირებს ხარჯს.
- თუ თავად უნდა გადაიხადოთ იმისათვის, რომ ჯართი გაიტანონ, მაშინ ეს ჩამოწერის ხარჯებს დაემატება.

ჩამოწერა

- ჩამოწერის ღირებულება ცვეთის კოეფიციენტში უნდა იქნეს გათვალისწინებული, რათა მიღებული კრედიტი გამოიქვითოს ჯართის ღირებულებიდან, რომელიც შესულია აკუმულირებული ცვეთის რეზერვში. უნდა იყოს/შეიძლება იყოს ფიქციური.
- ჯართი შემოსავალი არ არის. მაშინ რას ნიშნავს ჯართის მაღალი ღირებულება, როცა ობიექტი იხურება/ჩამოიწერება? ცვეთის კოეფიციენტის კომპონენტი არ იყო ამოქმედებული შეფასების დროს. შეიძლება ჯართის ფასი გაიზარდა.
- ასევე, თუ ჯართის ფასი ძალიან დაბალია, ტარიფის გადამხდელებისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ძველი ხარჯი დაეწიათ.

ჩამოწერა

- ძველი ფასი უნდა მოვაცილოთ უწყისში
  - დებიტის სახით აკუმულირებულ ცვეთაზე (108)
  - კრედიტის სახით ექსპლუატაციაში არსებულ ობიექტზე (101-ში და ქვეანგარიშების 300-ებში).
- ჯართისა და დემონტაჟის ხარჯები რჩება აკუმულირებული ცვეთის ანგარიშში და, თუ საჭიროა, გამოგვადგება მომავალი ცვეთის კოეფიციენტების გაზრდის ან შემცირებისათვის. მოგება და წაგება აქ არ გაითვალისწინება. უბრალოდ, მომავალ პერიოდებში გადაიტანება.

ჩამოწერა

- სხვა პრობლემები
  - როცა საწყისი ფასის ჩანაწერი არ არსებობს, არის თუ არა პროცედურები, რომლებიც დაგვეხმარება საწყისი ფასის დაახლოებით გაანგარიშებაში? ძირითადად, უნდა გამოვიცნოთ?
  - ობიექტის ჩამოწერის ან გაყიდვის დროს აკუმულირებული ცვეთის შეფასებით გაანგარიშება გონივრულია თუ არა?
  - ცვეთის რეზერვები ყოველთვის არაა დაყოფილი ქარხნის ქვეტიპებად და ა. შ.
  - თეორიულად იგულისხმება, რომ ქარხანა ჩამოწერის დროს სრულადაა ამორტიზებული. მაშასადამე, ეს თანხა უნდა მოვხსნათ ექსპლუატაციაში არსებული ქარხნიდან და იგივე თანხა უნდა მოვხსნათ ცვეთის რეზერვიდან.

რა?

- დიახ, თეორიულად ქარხნის მოხსნამ შეიძლება გააღარიბოს ცვეთის რეზერვის ანგარიში მისი საწყისი ფასის ოდენობაზე მეტად, თუ ობიექტი ჩამოიწერება მისი მომსახურების ხანგრძლივობაზე ადრე.
- ცვეთის კოეფიციენტები შედგენილია ისე, რომ ობიექტის ჩამოწერასთან დაკავშირებული ეს ელემენტები გათვალისწინებული იყოს. მათი შესწორება მხოლოდ ცვეთის ტარიფის გადახედვის საქმის აღძვრის დროს შეიძლება.
- გახსოვდეთ, თუ რა უნდა შევიტანოთ ჩამოწერის სამუშაო ორდერში.
- გაითვალისწინეთ დამამზადებელი ქარხნის დემონტაჟი. ყოველთვის იარსებებს ისეთი კომპონენტი, რომელიც გაითვალისწინებს მიწის გარემოში დაბრუნებას, თუ, რასაკვირველია, იმ ადგილზე ძველს ახალი ობიექტით არ ჩავანაცვლებთ.

რა?

- გაითვალისწინეთ ჩამოწერის სამუშაო ორდერი, როცა ნახშირზე მომუშავე ობიექტის დემონტაჟი უნდა განახორციელოთ. შეიძლება ტარიფებში არსებობს კომპონენტი, რომელიც მიწის ძველ ბუნებრივ მდგომარეობაზე დაბრუნებას გულისხმობს, სანამ ობიექტს ააშენებთ. (იხილეთ ბირთვულ ობიექტებთან დაკავშირებით)
- მაგალითი: ნახშირის ობიექტის დემონტაჟი მიჩიგანში: კომპანიამ უნდა ამოთხაროს მიწა, რათა გაიტანოს ნახშირი, რომელმაც მიწის სიღრმეში გაჟონა.
- შეიძლება ძალიან ძვირი დაჯდეს; განსაკუთრებით, თუ ბირთვული ობიექტის დემონტაჟი ხდება. ტარიფის გადამხდელები ყველა ამ ხარჯს იხდიან. ასე რომ, დეტალურ აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

CPR-ების გამოყენება აუდიტში

- აქტივები, რომლებიც შეადგენენ კომპანიის ოპერაციულ ბირთვს, ხშირად მოიხსენიება, როგორც ქონება, ობიექტი და მოწყობილობა ანუ უძრავი აქტივები.
- უძრავი აქტივები ორგანიზაციის სრული აქტივების დიდ წილს წარმოადგენს. მონოპოლისტური = კომუნალური კომპანია!
- აუდიტებს აინტერესებთ, აქტივები თუ არის დაცული, სწორად არის თუ არა აღრიცხული და ადეკვატურია თუ არა შინაგანი კონტროლი.

CPR-ების გამოყენება აუდიტში

- ნებისმიერი აქტივის შემოწმების დროს უნდა განისაზღვროს - ქონება, ობიექტი და მოწყობილობა თუ მართლა არსებობს.
- აუდიტს უნდა მიაწოდოთ უძრავ აქტივებში ცვლილებების ინფორმაცია. აუდიტს ასევე უნდა მიაწოდოთ კომპანიის მარაგები/სახარჯი მასალა.
- აუდიტი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ნებართვის გაცემის, გაფორმებისა და ჩაბარების პასუხისმგებლობები ადეკვატურადაა განაწილებული.
- ხვდებით, რომ ეს უკავშირდება მომარაგების/შესყიდვების აუდიტს? დიახ!

CPR-ების გამოყენება აუდიტში

- CPR-ებიდან იდენტიფიცირებული ობიექტისა და მისი ადგილმდებარეობის საფუძველზე აუდიტს შეუძლია შეამოწმოს, ეს ქონება მართლაც არსებობს თუ არა. ჩაჯექი მანქანაში და შეამოწმე!
- სამუშაო ორდერის ##, რომლის საფუძველზეც მოხდა ხარჯების აკუმულაცია, აღნიშნული უნდა იყოს CPR-ში და, აუდიტი თუ მოითხოვს, უნდა ვაჩვენოთ.
- აქტივების ზრდა, რომლებიც დასტურდება მესამე მხარის ინვოისებიდან, დოკუმენტურად უნდა გაფორმდეს სამუშაო ორდერში.
- ქონების ჩამოწერის ხარჯი ასევე უნდა დადასტურდეს მესამე მხარის ინვოისებით/ბილინგით და გაფორმდეს სამუშაო ორდერში.

CPR-ის პრობლემები

- შემოიფარგლება ჩანაწერების/აღრიცხვის წარმოებით. ხარისხიანი შინაგანაწესები /პროცედურები/ ხელმძღვანელობა!
- ხელმძღვანელობას გათავისებული უნდა ჰქონდეს კარგი და ზუსტი ჩანაწერების მნიშვნელობა.
- მარეგულირებელ კომისიას, აბა, რა შეუძლია? ცვეთის კოეფიციენტის გადახედვისათვის აღძრული საქმის განხილვის დროს ვინერვიულებთ იმაზე, რომ მოქმედი ობიექტის ღირებულება ეჭვქვეშაა, ვინაიდან მისი არსებობის კარგი ჩანაწერები არ არსებობს.
- ერთმა შემთხვევამ შეიძლება აიძულოს კომპანია, გააუმჯობესოს ქონების აღრიცხვის უწყვეტი სისტემა.

CPR-ისა და სამუშაო ორდერების გამოყენება

- როგორც ხედავთ, სამუშაო ორდერების სისტემა CPR-ებთან შეთანხმებულად მუშაობს.
- სიტყვით ვერ აღვწერ იმას, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ორივე სისტემის ხარისხიან კონტროლს ხელმძღვანელობისა და მარეგულირებლებისათვის.
- ხარისხიანი კონტროლი ხელმძღვანელობის ვალდებულებაა და იწყება ხარისხიანი შინაგანაწესებითა და პროცედურებით.
- CPR-ები, ხარისხიანი სამუშაო ორდერების სისტემით, ობიექტის აქტივებისა და კომუნალური კომპანიების ხერხემალია.

CPR-ისა და სამუშაო ორდერების გამოყენება

- ყველა ინფორმაცია ხელზე იქონიეთ, როცა ობიექტი გაჩერდება შტორმის დროს. ახდენს იდენტიფიცირებას, აქვს ხარჯები და ა. შ.
- ხელმძღვანელობას შეუძლია ხარჯების ანალიზი და მათი შედარება აქტივების განახლების ხარჯებთან.
- სისტემატური გამოცვლის ანალიზი ემყარება ინვესტიციის/შესყიდვის პირველ წელს. ძველი და დამპალი ბოძები ან სხვა დაძველებული ქონება შეიძლება შევიტანოთ სისტემატური შენაცვლება-განახლების სქემაში ხელმძღვანელების მიერ მომდევნო წლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

CPR-ები

- CPR-ების შედგენა ძვირი ხომ არ გეჩვენებათ? ასეც არის! მაგრამ ღირს.
- ადასტურებს ობიექტის ბალანსებს შემდეგისათვის:
  - ტარიფის გადამხდელები
  - აქციონერები
  - საგადასახადო დეპარტამენტს ძალიან მოსწონს, რადგან ის შეიცავს ქონების გადასახადის ინფორმაციას და ა. შ.
  - აუდიტი, გარე, შიდა - ძალიან უყვართ
  - მეტად სასარგებლოა ტარიფის გადახედვის საქმეებში.
  - ხელმძღვანელობას ეხმარება დაგეგმვასა და ობიექტის გამოკვლევაში

CPR-ები

- FERC (ენერგეტიკის რეგულირების ფედერალური კომისია, რომელიც საქართველოს კომისიის ანალოგიურია ნაციონალურ დონეზე) ძირითადი ობიექტის ამორტიზაციის უფლებას იძლევა. რა არის ძირითადი ობიექტი... საბუღალტრო აღრიცხვის უნიფიცირებულ სისტემაში და მიჩიგანის კომისია ეთანხმება. ობიექტი, რომლითაც კომუნალური კომპანიის ბევრი კომპონენტი სარგებლობს. ანგარიშები #389-399 (შენობა, კომპიუტერული პროგრამები)
- FERC და მიჩიგანის კომისია კომპანიებს ნებას რთავს, გამოიყენონ პროგნოზული სიდიდე ჩამოწერილი (დაძველებული) ქონების ღირებულების დასადგენად, მაგრამ CPR-ები უფრო უყვართ.

CPR-ები

- FERC და მიჩიგანის კომისია ნებას იძლევა, ჩამოწერის დროს პროგნოზული სიდიდეები გამოვიყენოთ, თუ საწყისი ფასის მონაცემი ვერ მოიძებნა.
- AFUDC დაშვებულია როგორც FERC-ის, ასევე მიჩიგანის კომისიის მიერ.
- AFUDC-ის მოქმედება წყდება, როცა ქონება ექსპლუატაციაში შედის ან მშენებლობა დასრულდება და მზადაა მომსახურებისათვის. მისი მოქმედება ასევე წყდება, როცა მშენებლობა დიდი ხნით შეჩერდება (დაყოვნებები). კომპანიის აქციონერებზე ეს ხარჯები იმოქმედებს.

ქონების სააღრიცხვო სისტემის (CPR) შედგენა

- ძვირადღირებული და შრომატევადი
- პირველი ნაბიჯი არის ქონების ერთეულების ინვენტარიზაცია. მშენებლობის დასრულებისას ქონების ყველა ელემენტი განისაზღვრება და გაფორმდება.
- არსებული ობიექტის ქონების ნებისმიერი ელემენტი, რომელიც ინვენტარიზაციაში არ შესულა, შეიძლება დათვალონ ობიექტის თანამშრომლებმა და საცალო ღირებულება განსაზღვრონ ოქმებში აკინძული ინვოისებიდან, სხვა ჩანაწერებიდან, დოკუმენტაციებიდან ან პროგნოზული შეფასებიდან.

ქონების სააღრიცხვო სისტემის (CPR) შედგენა

- ქონების ერთეულები უნდა შეესაბამებოდეს ჩამოსაწერ ერთეულებს, როგორც ეს FERC-ის მიერ მოითხოვება და უნდა იყოს ნაჩვენები ობიექტის საბუღალტრო სისტემაში.
- როცა ქონების ყველა ერთეული გამოვლინდება და ახალი და არსებული ობიექტების ინვენტარიზაციის საბოლოო დოკუმენტაციიდან გამომდინარე ფასები დადგინდება, შემდეგი ნაბიჯია ქონების ერთეულების რაოდენობისა და ღირებულების გამოანგარიშება.
- ქონების ერთეულების რაოდენობა და თითოეულის ღირებულება უნდა შევიდეს ინვენტარიზაციის საბოლოო დოკუმენტაციასა და არსებული ობიექტის ანგარიშებში.

ქონების სააღრიცხვო სისტემა (CPR)

- გამოითვალეთ სრული ღირებულება და შეადარეთ საბუღალტრო წიგნებში არსებულ ღირებულებას (სიდიდე, რომელიც უკვე არის საბუღალტრო წიგნებში). შეიძლება დაადგინოთ ერთეული ქონების ახალი ფასი. საჭიროა თუ არა შესწორება/კორექცია?
- თუ განსხვავებები ხშირია და დიდი, საჭიროა თუ არა აქტივებზე კონტროლის გამოძიების დაწყება?
- საბუღალტრო წიგნები, რომლებშიც შედის ახალი საბალანსო ღირებულება, მკაცრად უნდა შემოწმდეს, განსაკუთრებით, საგადასახადო თვალსაზრისით. შეიძლება ამან იმოქმედოს როგორც ქონების, ასევე საშემოსავლო გადასახადზე.

ქონების სააღრიცხვო სისტემა (CPR)

- ბევრი კომპიუტერული პროგრამა არსებობს, რომლებშიც შეგვიძლია CPR-ის წარმოება. მაგრამ ფიზიკური ინვენტარიზაცია შეიძლება ძვირი და შრომატევადი იყოს, თუ ქონების შესახებ მინიმალური აღრიცხვა მაინც არ არსებობს.
- როცა CPR-ები შეიქმნება, უნდა მოხდეს მათი უწყვეტი განახლება და შემოწმება კრიტიკული მიდგომით.
- CPR-ის სისტემა შეიძლება გავაფართოოთ და დავხვეწოთ კომპანიის ზრდისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ქონების სააღრიცხვო სისტემა (CPR)

- შედარებით უფრო დიდმა კომპანიებმა ჩანაწერები სიძველის მიხედვით უნდა დაახარისხონ. ქონების ჩამოწერის დროს ასეთ ჩანაწერებში უკეთ მოიძებნება მათი მონტაჟის თეორიული დრო და ზუსტი ასაკი. ეს ინფორმაცია სასარგებლოა მომავალში ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად.
- რაც უფრო დახვეწილი სისტემა გვინდა, მით უფრო მეტია სამუშაო, დამატებითი დოკუმენტაცია და ქონების ერთეულების გამოვლენასა და ადგილმდებარეობის განსაზღვრის სირთულესთან დაკავშირებული ხარჯები.
- არჩევანი ბევრი არსებობს, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ობიექტის გარეშე ქონების ერთეულების ფასების განსაზღვრის მეთოდი საშუალო ფასს უნდა ემყარებოდეს.

ქონების სააღრიცხვო სისტემა (CPR)

- **კიდევ ერთხელ** მინდა გავუსვა ხაზი შემდეგს: როცა CPR-ები შეიქმნება, დასახელებული ქონების ერთეულების რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს ექსპლუატაციაში რეალურად არსებული ერთეულების რაოდენობას. ეს ციფრები მრავლდება თითოეული ერთეულის ღირებულებაზე და უნდა უდრიდეს მთავარ საბუღალტრო წიგნში არსებული მოქმედი ობიექტის ანგარიშებს.
- CPR-ის მთავარი ამოცანაა აქტივების იმ ერთეულების აღრიცხვა, რომლებიც რეალურად არის ექსპლუატაციაში. მათი ღირებულება აისახება საბუღალტრო წიგნებში და არის კომპანიის ღირებულების ნაწილი.

ქონების სააღრიცხვო სისტემა (CPR)

- თუ CPR-ს სწორად ვაწარმოებთ და ობიექტის ანგარიშების ღირებულებები სწორადაა ასახული მთავარ საბუღალტრო წიგნში, მაშინ სისტემამ სწორად უნდა იმუშაოს და სწორადაც იმუშავებს.
- შეგიძლიათ, ერთი წუთით წარმოიდგინოთ, თუ რამდენად სასარგებლოა ეს მონაცემები საგანგებო მდგომარეობაში? ისევ დავუბრუნდეთ მომარაგება-შესყიდვის პროცედურებს საგანგებო მდგომარეობის დროს.
- ეს ყველაფერი ერთად იყრის თავს და საბოლოოდ ძაფის გორგლის წესით მოქმედებს. შეუდექით სათითაოდ გაშლას.

მიმოვიხილოთ გეგმის მონახაზი

- საბუღალტრო დეპარტამენტი
  - ობიექტის დეტალური აღრიცხვის წიგნის წარმოება
  - მთავარი საბუღალტრო წიგნის წარმოება
  - აქტივების შესყიდვის ნებართვებისა და უშუალო შესყიდვების შემოწმება
  - აქტივების შესყიდვის ნებართვებისა და უშუალო შესყიდვების შემოწმება
  - უძრავი აქტივების პერიოდული აღრიცხვის კონტროლი, რომელშიც უნდა შედიოდეს ფიზიკური იდენტიფიცირება.
  - ცვეთის წესების შედგენა და განხორციელება

მიმოვიხილოთ გეგმის მონახაზი

- ხაზინადარი
  - უძრავი აქტივების შესყიდვის ჩეკებზე ხელის მოწერა
  - ვის ჩაბარდება გაყიდული უძრავი ქონებიდან შემოსული ნაღდი ფული
  - გადახდის პროცესის ყველა საფეხურის დეტალური პროცედურები

მიმოვიხილოთ გეგმის მონახაზი

- ბუღალტრისა და ხაზინადარის გარდა სხვა ფუნქციები
  - ძირითადი აქტივების ყიდვა-გაყიდვის ვალდებულება (სხვადასხვა დეპარტამენტი/ განყოფილება/ადგილმდებარეობა)
  - ძირითადი აქტივების გაყიდვაზე აუცილებელი სანქცია (დამფუძნებელთა საბჭო ან სპეციალური კომიტეტი)
  - აშენებამდე ან შესყიდვამდე წინასწარი შეფასება და რისკის ანალიზი (იხილეთ წინა დისკუსიები).
  - ვის ჩაბარდება შეძენილი საგნები (რამდენიმე, როგორც ეს ზემოთ ვიხილეთ)

შიდა კონტროლის კითხვარი

ქონება, ობიექტი და მოწყობილობა დიახ/არა შეკითხვა დაკვირვება კომენტარი

- საჭიროა თუ არა კაპიტალური ხარჯებისათვის წინასწარი ნებართვა?
- როცა ფაქტიური კაპიტალური ხარჯები გადააჭარბებს სანქცირებულ თანხას, ეს გადაჭარბება სათანადო დონეზეა ნებადართული?
- არსებობს თუ არა თანმიმდევრული შინაგანაწესი კაპიტალური და საშემოსავლო ხარჯების შესახებ?
- არსებობს თუ არა ობიექტის დეტალური სააღრიცხვო ჟურნალი?
- პერიოდულად თუ ხდება ობიექტის საგნების ინვენტარიზაცია?
- კაპიტალური ჩანაცვლებების, გაუმჯობესებებისა და სპეციალური რემონტებისათვის თუ არსებობს შესაფერისი საბუღალტრო აღრიცხვა?
- ძირითადი აქტივებისათვის არსებობს თუ არა ჩამოწერის ან გადაგდების სწორი სისტემა? წესები?

ცვლილებების შეჯამება

პროცედურები	დასრ. თარიღი	სამუშაოს შემსრ.

- მიიღეთ და შეამოწმეთ წლის განმავლობაში აქტივების ანგარიშებში შეტანილი ცვლილებების ანალიზი.
- შეამოწმეთ ძირითადი აქტივების ზრდა მოცემულ წელიწადში და გაითვალისწინეთ ამ პროცედურის გავრცელება ყველა მნიშვნელოვან აქტივზე წლის ბოლოსათვის.
- წარმოადგინეთ ძირითადი აქტივების მატების დოკუმენტაცია
- შეამოწმეთ ძირითადი აქტივების გადაგდება ან ჩამოწერა და შეამოწმეთ გაუფორმებელი ტრანსაქციები
- მიიღეთ და შეამოწმეთ მიმდინარე რემონტის ხარჯების ანგარიშების ანალიზი

შეჯამება გრძელდება

პროცედურები	დასრ. თარიღი	სამუშაოს შემსრ.

- მიიღეთ და შეამოწმეთ წლის განმავლობაში აკუმულირებული ცვეთის ანგარიშში ცვლილებები.
- შეამოწმეთ ცვეთის კალკულაცია
- განსაზღვრეთ, სწორად თუ შესრულდა ძირითადი საშუალებების ცვეთის ტრანსაქციები.
- შეამოწმეთ ძირითადი საშუალებების ანგარიშები და შესაბამისი ანგარიშები, სწორად თუ არის კლასიფიკაცია და ინფორმაციის გამჟღავნება.

ქონების, ობიექტისა და მოწყობილობის ანალიზი

ტიპი	/ საწყ. ბალანსი /	ზრდა /	ჩამოწერა /	საბოლოო ბალანსი	კომენტარი

- მიწა
- შენობები
- გენერირება
- გადაცემა
- განაწილება
- მანქანა-დანადგარები
- ოფისის აპარატურა
- ადგილზე მიტანის მოწყობილობა
- და ა. შ.
- და ა. შ.

იგივე გრაფიკი არსებობს აკუმულირებული ცვეთის ანგარიშისათვის.
ამის მიზანია ძირითადი საშუალებების ზრდისა და ჩამოწერის ანალიზი.

გასათვალისწინებელი საკითხები. ყველა მათგანი შეეხება აქტივებს და შეიძლება შეეხებოდეს კომპანიის აქტივებს.

შესყიდვის ორდერები

სამუშაო ორდერები

მიმდინარე მშენებლობა

ქონების აღრიცხვა

ქონების ერთეულები

ჩამოწერა

მოძველებული ქონება... მანქანის ანტენა ისევ ინვენტარშია?

ოჰ, ეს წლიური ბიუჯეტი! სხვა თემები, მაგრამ, ოჰ, როგორი მნიშვნელოვანი.

ბიუჯეტი, შინაგანაწესი და პროცედურები

- ხელმძღვანელობის ხერხემალი. კომპანიის მიზნების შესრულებას უკეთეს მიმართულებას აძლევს.
- რომელია პირველი? ქათამი თუ კვერცხი?
- საჭიროა საბუღალტრო წესებისა და პროცედურების სახელმძღვანელო
- საჭიროა ყოველდღიური მუშაობისა და საგანგებო ზომების მიღების დროს მიმართულების მიმცემი სახელმძღვანელო. წერილობითი რჩევები, თუ „როდის როგორ მოვიქცეთ“.
- თანამშრომლებმა დრო არ უნდა დახარჯონ მიხვედრაზე. ხელმძღვანელობამ უნდა გაუმზადოს სახელმძღვანელო დებულებები.

კიდევ მეტი ბიუჯეტის, შინაგანაწესისა და პროცედურების შესახებ

- პროცედურები გარკვევით უნდა დაიწეროს და მოთავსდეს კომპანიის შიდა ქსელში (მონაცემთა ელექტრონული ბაზა). ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს წერილობითი პროცედურები მათი თანამდებობრივი ფუნქციების შესახებ.
- თუ პროცედურები გარკვევით წერია, ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი წესების განხორციელება შესაძლებელი გახდება ეფექტურად და თანმიმდევრულად. ხელმძღვანელობამ უნდა მოახდინოს წესების რედაქტირება, თუ ოპერაციების სტილი შეიცვლება.
- პროცედურები საშუალებას გვაძლევს, ერთგვაროვნად გავატაროთ ტრანსაქციები და სწორად ვაწარმოოთ დოკუმენტაცია.

კიდევ მეტი ბიუჯეტის, შინაგანაწესისა და პროცედურების შესახებ

- პროცედურები ყველა თანამშრომლისათვის უნდა იყოს ცნობილი.
- შემუშავებული მეთოდები ტრანსაქციების ინიცირების, გაფორმებისა და შეჯამების შესახებ ან მსგავსი მოქმედებები.
- საგანგებო შემთხვევების დროს პროცედურებს დიდი მნიშვნელობა აქვს!
- პროცედურები ან სახელმძღვანელო დებულებები გვიცავს სერიოზული შეცდომებისაგან, არასწორი მონაცემების შეტანისაგან და თავიდან გვაცილებს თანამშრომლებისა და კომპანიისათვის სავალალო შედეგებს.
- პროცედურების შესრულება ნიშნავს ჯანსაღ საბუღალტრო აღრიცხვასა და „ჯანსაღ დაბალანსებულ კონტროლს“.

ბიუჯეტები

- ოპერაციული და ფინანსური გეგმა მომავალი პერიოდებისათვის.
- შეიძლება იყოს ზოგადი ოპერაციებისათვის.
- შეიძლება იყოს მომავალი მოთხოვნილებებისათვის. მაგალითი: ძველი ობიექტი უახლოვდება თავისი მომსახურების დასასრულს. ჯერ გავაანალიზოთ ვარიანტები, რომელთა საფუძველზეც ხელმძღვანელობა განსაზღვრავს სამომავლო გეგმებსა და საჭიროებებს და შემდეგ დავგეგმოთ ძველი ობიექტის გამოცვლა.
- ობიექტისა და მოწყობილობის ბიუჯეტი შედგება ახალი მშენებლობის, მოწყობილობისა და არსებული აქტივების მიმდინარე რემონტისათვის საჭირო ხარჯების პროგნოზისაგან.

ბიუჯეტები

- ხელმძღვანელობა შეიმუშავებს სამომავლო გეგმებს არსებული საჭიროებების, პროგნოზული შემოსავლებისა და მათი სისტემის პროგნოზული ზრდის შესახებ.
- ყოველწლიურად მოსამზადებელია სხვა ბიუჯეტებიც (ამაში შედის მათი გადახედვა-რედაქტირება):
  - ნაღდი ფული, გაყიდვები, მასალები, ფინანსური საჭიროებები, მუშახელი... ეს სია აღარ თავდება.
  - ბიუჯეტები იწყება თავიდან და ჩამოდის ბოლოში. შემდეგ ისევ ადის ზემოთ, სანამ არ დასრულდება.
  - ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა უნდა გაკეთდეს და რა ფასად. ეშვება ყველაზე ქვედა დონეზე, ტელეფონის მონტიორამდე და მათი საჭიროებები ისაზღვრება. ეს შემდეგ ზედა საფეხურზე ადის და ასე აგრძელებს გზას, სანამ უმაღლეს საფეხურზე არ გადაწყდება, რომ ეს საჭიროებები გამართლებულია.

ბიუჯეტები

- მაშ ასე, დავადგინეთ, რომ შემოთავაზებული ბიუჯეტი, რომელმაც ქვემოდან ზემოთ მოაღწია, ძალიან ძვირია. გადაწყდება ბიუჯეტის 10%-ით შემცირება. პროცესი ისევ ქვემოთ დაბრუნდება, უმდაბლეს დონეზე და ხდება ბიუჯეტის გადახედვა და გასწორება საბოლოო ვარიანტამდე.
- ეს რაც შეეხება ოპერატიულ ბიუჯეტს. კიდევ ბევრი სხვა სახის ბიუჯეტი არსებობს, რომელმაც საბოლოო ბიუჯეტის დასამტკიცებლად ანალოგიური გზა უნდა გაიაროს.
- კიდევ არსებობს სამომავლო „მოთხოვნების, საჭიროებებისა და სურვილების“ ბიუჯეტი, რომლებიც მიმდინარე გეგმებში უნდა გავითვალისწინოთ.

ბიუჯეტები, როგორც აუდიტის იარაღი/მეთოდი

- უნდა გავერკვეთ, თუ რა როლი აქვს ბიუჯეტს ნაკისრი კომუნალური კომპანიის ოპერაციებში და აუდიტები კომპანიის წესებსა და პროცედურებთან ერთად რატომ ამოწმებენ ბიუჯეტს.
- ბიუჯეტის ყოველთვიური გადახედვა და ოპერაციული ანგარიში უნდა უჩვენებდეს ბიუჯეტსა და ფაქტიურ ხარჯებს შორის სხვაობას. ნებისმიერი გადახრა უნდა განემარტოს ხელმძღვანელობას (და აუდიტის რევიზია).
- ბიუჯეტის მთელი ანალიზი უკავშირდება გუშინდელ პრეზენტაციას შესყიდვების გადახედვის შესახებ.

შეკითხვები?